



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლომაშვილი ანზორ ნიკოლოზის ძე



ა. ლომაშვილი

ლომაშვილი ანზორ ნიკოლოზის ძე (2. IX. 1932, დაბა თიანეთი, - 10. VI. 2019, თბილისი), მეტალურგი, მეცნიერი. საქართვე. დამს. ინჟინერი (1987), საქართვე. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1993). დაამთავრა მოსკოვის ფოლადის ინ-ტი შავი ლითონების სპეციალობით (1956). მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ ქ-ნაში სხვადასხვა თანამდებობაზე (1957-62). იყო ამავე ქ-ნის ცენტრ. ლაბორ. ლითონმცოდნეობისა და ფოლადსადადნობი ლაბორატორიების უფროსი (1962-89); შემდგომ ქ-ნის ტექნიკური განყ-ბის მოადგილე, მთ. სპეციალისტი (1986-იდან). თემისათვის - ეკონომიურად ლეგირებული ფოლადებისა და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების შემუშავება-დანერგვა საწარმოო ციკლში „ფოლადი - მზა

პროდუქცია“, მიენიჭა საქართვე. სახელმწ. პრემია მეცნ. და ტექნიკის დარგში (კოლექტივთან ერთად).
